თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2014 წლის 25 აპრილი სხდომის ოქმი #6

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი ასოცირებული პროფესორი თ. ბერიძე, ფაკულტეტის სწავლული მდივანის მ.შ. ასოც. პროფ. ნ. კაკულია, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 23, სტუდენტები – 0, სულ – 23 წევრი.

დღის წესრიგი

1. სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ ზოგიერთი კომპონენტისათვის სწავლების ენად გერმანული ენის დამატების შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

2. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამაზე 2014 წლის მიღებისათვის კორექტირებული ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ (იხ. დანართი)

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

3. კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

4. კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

5. რექტორის 2014 წლის 17 მარტის #28 ბრძანებით დამტკიცდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო წრის დებულება. სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი.

   /სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს შექმნისა და წევრების დამტკიცების შესახებ.

   /ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

7. მიმდინარე საკითხები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს 1: სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ ზოგიერთი კომპონენტისათვის სწავლების ენად გერმანული ენის დამატების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ფაკულტეტის ***ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ნ. პაპაჩაშვილმა*** საბჭოს გააცნო სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ ზოგიერთი კომპონენტისათვის სწავლების ენად გერმანული ენის დამატების შესახებ

აზრი გამოთქვეს: პროფ. ს. გელაშვილმა, პროფ. ნ. თოდუამ.
გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 23;
წინააღმდეგი – 0;

დაადგინეს 1: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ ზოგიერთი კომპონენტისათვის სწავლების ენად გერმანული ენის დამატება.

მოისმინეს 2: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამაზე 2014 წლის მიღებისათვის კორექტირებული ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ (იხ. დანართი)

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ქალბატონმა ***ნ. პაპაჩაშვილმა*** საბჭოს გააცნო თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის აღმასრულებელი დირექტორის ერიკ ლივნის სამსახურებრივი ბარათი, რომლის მიხედვითაც იგი ითხოვს სამაგისტრო პროგრამის კონტინგენტში ცვლილებას და 60 ადგილის ნაცვლად, 70 ადგილს.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ. თოდუამ, ასოც. პროფ. ი. ჭილაძემ.

კენჭისყრა არ შედგა, სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი საბჭოს სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო საკითხი გადაიდო მომდევნო სხდომისთვის.

დაადგინეს: 2. საკითხი გადაიდო მომდევნო სხდომისთვის.

მოისმინეს 3: კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ასოც. პროფესორმა ***ნ. პაპაჩაშვილმა*** გააკეთა განცხადება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **კურსდამთავრებულთათვის** ხარისხების მინიჭების შესახებ:

1. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს მიხეილ ბოლქვაძეს მიენიჭოს ხარისხი: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში (დიპლომი ჩვეულებრივი)

2. საერთაშორისო საწარმოთა მართვის () სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს თორნიკე ბახტურიძეს მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი (დიპლომი ჩვეულებრივი)

აზრი გამოთქვეს: აზრი არ გამოთქმულა
გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 23;
წინააღმდეგი – 0;

დაადგინეს: 1. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს მიხეილ ბოლქვაძეს მიენიჭოს ხარისხი: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში (დიპლომი ჩვეულებრივი)

საერთაშორისო საწარმოთა მართვის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს თორნიკე ბახტურიძეს მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი (დიპლომი ჩვეულებრივი).

მოისმინეს 4: კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

კურდამთავრებულთა მომართვების საფუძველზე ხორციელდება ადრე მინიჭებული ხარისხების კორექტირება შესაბამისი დროისათვის მოქმედი რეგულაციის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე (#633), რომელიც 2005 წლის 18 ნოემბრიდან 2010 წლის 10 დეკემბრამდე განსაზღვრავდა ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალს, კორექტირდება მინიჭებული ხარისხები.

საჭიროა განხორციელდეს შესაბამისი კორექტირება:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის **რექტორის ბრძანება # 874/01–04 (14.07.2008)**
   მინიჭებულია
   ა) **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** ფინანსისტის კვალიფიკაციით – სპეციალობა: ფინანსები და საბანკო საქმე
   კორექტირდეს როგორც
   ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

   ბ) ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ–ექსპერტის კვალიფიკაციით – სპეციალობა: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
   კორექტირდეს როგორც
   სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

2. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის **რექტორის ბრძანება # 1554/01–04 (13.10.2008)**
   მინიჭებულია
   ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ–ექსპერტის კვალიფიკაციით – სპეციალობა: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
   კორექტირდეს როგორც
   სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
3. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის **რექტორის ბრძანება # 1735/01–04 (31.10.2008)**
   მინიჭებულია
   ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ადამიანური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით – სპეციალობა: პერსონალის მართვა
   კორექტირდეს როგორც
   ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
4. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის **რექტორის ბრძანება # 1826/01–04 (15.10.2013). აღნიშნული ბრძანებით ცვლილება შევიდა 2007 წლის კურსდამთავრებულის სახელზე გაცემულ დიპლომში**
   მინიჭებულია **სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი**

   კორექტირდეს როგორც ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

აზრი გამოთქვეს: აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 23;
წინააღმდეგი – 0;

5. **დაადგინეს:** ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის **რექტორის ბრძანება # 874/01–04 (14.07.2008)**
   მინიჭებულია
   ა) **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** ფინანსისტის კვალიფიკაციით – სპეციალობა: ფინანსები და საბანკო საქმე
   კორექტირდეს როგორც
   ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

   ბ) ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ–ექსპერტის კვალიფიკაციით – სპეციალობა: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
   კორექტირდეს როგორც
   სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

6. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის **რექტორის ბრძანება # 1554/01–04 (13.10.2008)**
   მინიჭებულია
   ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ–ექსპერტის კვალიფიკაციით – სპეციალობა: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

კორექტირდეს როგორც სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

7. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის **რექტორის ბრძანება # 1735/01–04 (31.10.2008)**
   მინიჭებულია **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** ადამიანური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით – სპეციალობა: პერსონალის მართვა **კორექტირდეს როგორც ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი**
8. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის **რექტორის ბრძანება # 1826/01–04 (15.10.2013**). აღნიშნული ბრძანებით ცვლილება შევიდა 2007 წლის კურსდამთავრებულის სახელზე გაცემულ დიპლომში **სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, კორექტირდეს როგორც ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.**

მოისმინეს 5: სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძემ განაცხადა, რომ რექტორის 2014 წლის 17 მარტის #28 ბრძანებით დამტკიცდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო წრის დებულება. სამეცნიერო წრის დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო ხმათა უბრალო უმრავლესობით.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელები კათედრების მიხედვით

1. *ეკონომიკის პრინციპების კათედრა* - ასოცირებული პროფესორი მარინა ნაცვალაძე
2. *ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა* - ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი
3. *საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა* - ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე
4. *მიკროეკონომიკის კათედრა* - ასისტენტ - პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი
5. *მაკროეკონომიკის კათედრა* - ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია
6. *ეკონომეტრიკის კათედრა* - ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე
7. *ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა* - პროფესორი სიმონ გელაშვილი
8. *ფინანსების და საბანკო საქმის კათედრა* - ასისტენტ-პროფესორი ნატო კაკაშვილი
9. *ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა* - ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჭილაძე
10. *საერთაშორისო ბიზნესის კათედრა* -ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი
11. *მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა* - - ასისტენტ-პროფესორი ნინო ფარესაშვილი
12. *მარკეტინგის კათედრა* - ასისტენტ - პროფესორი ეთერ სარჯველაძე
13. *ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა* - ასოცირებული პროფესორი ნანა კაციტაძე
14. *ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა* - პროფესორი დემურ სიჭინავა

აზრი გამოთქვეს: პროფ. ს. გელაშვილმა და ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის კანდიდატის შეცვლა ითხოვა ასოცირებული პროფესორი მარინა მიდორაშვილის კანდიდატურით.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 23;
წინააღმდეგი – 0;

დაადგინეს 5: შევიდეს აღნიშნული ცვლილება დამტკიცებულ სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელთა ჩამონათვალში.

მოისმინეს 6. : ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს შექმნისა და წევრების დამტკიცების შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

აზრი გამოთქვეს: პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. თ. შენგელიამ.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე უკვე 5 წელზე მეტია ფუნქციონირებს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო. სამწუხაროდ, შესაბამისი რეგულეციების არასრულყოფილების გამო მისი საქმიანობა ფაკულტეტზე მიმდინარეობდა და შემოიფარგლებოდა მხოლოდ ნაშრომის გამოცემის შესახებ რეკომენდაციების გაცემით. ამჟამად, 2014 წლის 5 მარტის 43/01-01 რექტორის ბრძანებით, საგამომცემლო საქმიანობის სრულყოფის მიზნით დამტკიცდა:

თსუ-ის საგამომცემლო საბჭოს, ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოებისა და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიების დებულება.

დებულების შესაბამისად უნდა შეიქმნას საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო საგამომცემლო საბჭოები.

დებულების თანახმად, ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე არის ფაკულტეტის დეკანი, რომელიც წარადგენს ფაკულტეტის საბჭოზე საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობას დასამტკიცებლად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კათედრებს დაეგზავნათ წერილი, რომლის შესაბამისად მათ უნდა წარმოედგინათ ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს კანდიდატები.

პროფ. თ. შენგელიამ აღნიშნა, რომ საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე საგამომცემლო საბჭოს წევრების შერჩევა სელექციური წესით მოხდა და არჩევნები არ ჩატარდა, მას ტელეფონით შეატყობინეს მხოლოდ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ შესაბამის რეაგირებას მოახდენს ასეთი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილმა განაცხადა, რომ მას ყველა კათედრიდან აქვს ამონაწერი კათედრის სხდომის ოქმიდან, რაც საფუძველია წარმოდგენილი საგამომცემლო საბჭოს წევრების კანდიდატურების დასამტკიცებლად.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 23;
წინააღმდეგი – 0;

დაადგინეს 6: შეიქმნას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე, დეკანი, ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ ბერიძე;
ეკონომიკის პრინციპების კათედრა - ასოცირებული პროფესორი ინგა ბალარჯიშვილი;
ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა - ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი;
საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა - ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე;
მიკროეკონომიკის კათედრა - ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი;
მაკროეკონომიკის კათედრა - პროფესორი მირიან ტუხაშვილი;
ეკონომეტრიკის კათედრა - პროფესორი იური ანანიაშვილი;
ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა - ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი;
ფინანსების და საბანკო საქმის კათედრა - ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე;
ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა - ასოცირებული პროფესორი ნანა სრესელი;
საერთაშორისო ბიზნესის კათედრა - პროფესორი იაკობ მესხია;
მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა - - ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი;
მარკეტინგის კათედრა - პროფესორი ნუგზარ თოდუა;
ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა -პროფესორი მაია მარგველაშვილი;
ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა - პროფესორი დემურ სიჭინავა.

ფაკულტეტის დეკანი

ასოცირებული პროფესორი თ. ბერიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანის მ.შ.,

ასოცირებული პროფესორი ნ. კაკულია